დანართი No. 1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება

ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

შეფასების თარიღი: 04/04/24

დასკვნის წარდგენის თარიღი: 26/06/24

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 5

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 6

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 12

1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 12

1.1 პროგრამის მიზნები.....12

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები.....14

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი 17

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი.....19

1.5. სასწავლო კურსი/საგანი.....22

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 24

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები 24

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება 26

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები 27

2.4. სტუდენტის შეფასება.....29

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 31

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები 31

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა.....33

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 34

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია 37

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება.....38

4.4. მატერიალური რესურსები.....40

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა 42

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....43

5.1. შიდა ხარისხის შეფასება.....44

5.2 გარე ხარისხის შეფასება.....46

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა.....47

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ [1]

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	თბილისის თავისუფალი აკადემია შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204876991
დაწესებულების ტიპი	

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანუ ანა ჯოსანი კატარის საფინანსო და ბიზნეს აკადემია (QFBA) ნორთუმბრიის უნივერსიტეტი, კატარი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თორნიკე ხოშტარია შპს უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ელენე ჯღარკავა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლეკიშვილი შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვაჟა კელიხაშვილი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველო.

[1] ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Business Administration
უმაღლესი განათლების საფეხური	VI
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[3]	
სწავლების ენა	ინგლისურენოვანი
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	

[2]თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

[3](მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

თბილისის თავისუფალ აკადემიაში შემუშავებული ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა არის მეექვსე საფეხურის საბაკალავრო აკადემიური პროგრამა, რომელიც ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის (BBA) ხარისხს. პროგრამის ხანგრძლივობაა რვა სემესტრი (ოთხი აკადემიური წელი) და მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც ისწავლება მთლიანად ინგლისურ ენაზე. პროგრამა სულ მოიცავს 185 სავალდებულო კრედიტს, აქედან, 163 ECTS ძირითადი სასწავლო სფეროდან და 22 ECTS სავალდებულო ინგლისური ენის კომპონენტებიდან. ძირითად სწავლის სფეროში არის არჩევით კურსების მოთხოვნა, საიდანაც სტუდენტებმა უნდა აითვისონ ორმოცი კრედიტი შეთავაზებული ასი კრედიტიდან. პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში სტუდენტმა უნდა აითვისოს ოცი კრედიტი. შემოთავაზებული ორმოცი კრედიტიდან თხუთმეტი სავალდებულოა. ძირითადი სასწავლო სფეროს ფარგლებში არჩევითი კურსები შერჩეულია საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. ყოველ სასწავლო წელს შეესაბამება 60 ECTS კრედიტი, ერთი კრედიტი წარმოადგენს სტუდენტის მთლიან სასწავლო აქტივობას, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. შეფასება ხდება 100-ქულიანი შეფასების სისტემით, სხვადასხვა მეთოდით, როგორიცაა პრაქტიკული მუშაობა, პრეზენტაციები და გამოცდები. პროგრამაზე მიღებისთვის საქართველოს მოქალაქეს მოეთხოვება დასრულებული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება, მათ შორის ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. უცხოეთის მოქალაქეთა ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით. ის მოიცავს სავალდებულო, არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს, რომლებიც მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის მენეჯმენტს, ფინანსებს და მარკეტინგს. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტების აღჭურვას თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რაც აუცილებელია ბიზნეს სექტორში წარმატებისთვის. კურსდამთავრებულები აღჭურვილი არიან ისეთი ცოდნითა და უნარებით, რომ შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, მათ შორის სახელმწიფო ინსტიტუტებში, საერთაშორისო კომპანიებში, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ფინანსურ ორგანიზაციებში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ჯგუფმა, რომელის მიზანი იყო თბილისის თავისუფალ აკადემიაში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის შეფასება, განიხილა თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები. ეს პროცესი მოიცავდა დამხმარე მტკიცებულებებისა და დოკუმენტაციის ფართო ანალიზს. 2024 წლის 4 აპრილის ადგილზე ვიზიტისთვის

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მოსამზადებლად ჩატარდა ორი ამომწურავი ონლაინ შეხვედრა 2024 წლის 20 მარტს და 2 აპრილს, შეფასების დროს გამოვლენილი პირველადი საკითხების განხილვის მიზნით. ადგილზე ვიზიტის დროს დაცული იქნა დეტალური განრიგი, რომელიც დაიწყო მოსამზადებელი შეხვედრით. ამას მოჰყვა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, მათ შორის რექტორთან, პრორექტორებთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან. შემდგომი შეხვედრები მოიცავდა ინტერვიუს თვითშეფასების გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან. ასევე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მათ შორის დეკანთან, დეკანის მოადგილესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. აღსანიშნავია, ინტერვიუები დამსაქმებლებთან. იმავე დღეს გაიმართა შეხვედრები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, რასაც მოჰყვა დამატებითი დისკუსიები ძირითად მიგნებებზე და დღე დასრულდა შეფასების ჯგუფის უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრით და მოკლე უკუკავშირის სესიით. მთელი ამ პროცესის განმავლობაში ზედმიწევნითი ყურადღება ეთმობოდა პროგრამის ფუნქციონირებისა და ეფექტურობის ყველა ასპექტს.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა ზედმიწევნითი შეფასება სხვადასხვა სტანდარტთან და ქვესტანდარტთან შესაბამისობის თვალსაზრისით, სადაც გამოიკვეთა მტკიცე გადაწყვეტილება პროგრამა შეესაბამებოდეს და აჭარბებდეს არსებულ სამიზნე ნიშნულებს.

სტანდარტი I. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა: პროგრამა ძირითადად შეესაბამება ამ სტანდარტს, სრული შესაბამისობით რამდენიმე კომპონენტში, როგორიცაა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (ქვესტანდარტი 1.3) და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (ქვესტანდარტი 1.4). თუმცა, არსებობს პროგრამის მიზნების (ქვესტანდარტი 1.1) და პროგრამის სწავლის შედეგების (ქვესტანდარტის 1.2) და აკადემიური კურსის/საგნის (ქვესტანდარტი 1.5) გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მთლიან სტრუქტურასა და შინაარსთან შესაბამისობას.

სტანდარტი II. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა: პროგრამა ამ მხრივ გამოირჩევა, სრულად შეესაბამება მეორე სტანდარტის ყველა ქვესტანდარტს. მასში ჩანს მიღების წინაპირობის მკაცრად გაწერილი სისტემა (ქვესტანდარტი 2.1), უნარების განვითარება (ქვესტანდარტი 2.2), სწავლების მეთოდები (ქვესტანდარტი 2.3) და სტუდენტების შეფასება (ქვესტანდარტი 2.4), რაც აჩვენებს ყოვლისმომცველ მიდგომას პროგრამის მიწოდებისა და შეფასების მიმართ.

სტანდარტი III სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა: სტანდარტი 3 ხაზს უსვამს სტუდენტთა მიღწევების მხარდაჭერისა და ინდივიდუალური დახმარების გაწევის

მნიშვნელობას. პროგრამა სრულად შეესაბამება ქვესტანდარტს 3.1, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა ყოვლისმომცველი კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისების შეთავაზებას, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის საჭირო რჩევების მიცემას და დახმარების გაწევას აკადემიური განვითარებისთვის.

სტანდარტი IV სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა: მეოთხე სტანდარტი ხაზს უსვამს ადეკვატური სწავლების რესურსების უზრუნველყოფას პროგრამის ეფექტური განხორციელებისთვის. ამავდროულად, არსებობს მეტწილი შესაბამისობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა ადამიანური რესურსები (ქვესტანდარტი 4.1) და პერსონალის განვითარება (ქვესტანდარტი 4.3), ასევე არსებობს სრული შესაბამისობა საკმარისი მატერიალური რესურსების (ქვესტანდარტი 4.4) და ფინანსური მდგრადობის (ქვესტანდარტი 4.5) უზრუნველსაყოფად, რაც მიუთითებს სწავლებისა და სასწავლო აქტივობების მხარდაჭერის მყარ საფუძველზე.

სტაბდარტი V. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. სტანდარტი 5 ყურადღებას ამახვილებს სწავლების ხარისხის ამაღლებაზე შიდა და გარე შეფასების მექანიზმების მეშვეობით. პროგრამა აჩვენებს სრულ შესაბამისობას ამ სტანდარტთან, სრულად აკმაყოფილებს შიდა ხარისხის შეფასების მოთხოვნებს (ქვესტანდარტი 5.1), ხარისხის გარე შეფასების მოთხოვნებს (ქვესტანდარტი 5.2) და პროგრამის მონიტორინგს და პერიოდულ მიმოხილვას (ქვესტანდარტი 5.3). მუდმივი გაუმჯობესების ეს ვალდებულება უზრუნველყოფს, რომ პროგრამა პასუხობს მზარდ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და სტანდარტებს.

საგანმანათლებლო პროგრამა აჩვენებს დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მაღალ დონეს, რაც მიუთითებს მათ მტკიცე გადაწყვეტილებას, მიაწოდონ სტუდენტებს ხარისხიანი განათლება მუდმივი გაუმჯობესების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გაუმჯობესების სფეროები, განსაკუთრებით პროგრამის მიზნების დახვეწასა და სწავლის შედეგების დაზუსტებაში, საერთო შეფასება ხაზს უსვამს პროგრამის ეფექტურობას სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

- **რეკომენდაციები**

  - რეკომენდებულია, კურიკულუმში შედიოდეს კურსები, როგორიცაა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და გარემოსდაცვითი, სოციალური საკითხები და მმართველობა (ESG), სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მოსაზრებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.
  - რეკომენდებულია, სასწავლო პროგრამაში ადრეულად შემოიტანოთ სტრუქტურირებული კურსი ან მოდული, ლიტერატურის მიმოხილვის ექსპერტის დონეზე წარმართვის მიზნით, რაც განსაკუთრებით ავითარებს კრიტიკული ანალიზისა და კვლევის უნარებს, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.
  - რეკომენდებულია, ყველა კურსს ჰქონდეს შესაფერისი წინაპირობები, რაც სტუდენტებს მისცემს შესაბამის ცოდნას და უნარებს.

- რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს, კერძოდ, ბიზნეს კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსები შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო კურსებად სწავლის სფეროს შედეგების მისაღწევად.
- რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების რაოდენობა და ხარისხი.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში კვალიფიკაციის შესაბამისი პერსონალის ჩართვა.
- რეკომენდებულია, პერსონალის დატვირთვის გადახედვა, მათ შორის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის.
- რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების/ვორქშოფების რაოდენობის გაზრდა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, კურიკულუმში მეტი რეალური გამოყენების ან საზოგადოებრივი პროექტების ჩართვა, იმის დასამტკიცებლად, როგორ უწყობს ხელს პროგრამის მიზნები სფეროსა და საზოგადოების განვითარებას.
- სასურველია, MS Word-სა და Excel-ზე სპეციალიზებული ტრენინგის ან სემინარების ინტეგრირება სასწავლო გეგმის ფარგლებში, რათა გაზარდოს სტუდენტების უნარი გააანალიზონ მონაცემები, ეფექტურად დაუკავშირდნენ და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები დამოუკიდებლად, რათა დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის სწავლის შედეგები.
- სასურველია, ჩატარდეს ვორქშოფები, ტუტორიალები და შეიქმნას წერის ცენტრები კვლევის მეთოდოლოგიისა და აკადემიური წერის უნარების დახვეწის მიზნით; ხოლო ფაკულტეტის მენტორების პერსონიზირებული დახმარება უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესება უახლესი ტენდენციებისა და თანამედროვე გამოწვევების ინტეგრირებით, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი. ეს უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობას და თანამედროვე ბიზნესის სფეროსთან შესაბამისობას, გაზრდის სტუდენტთა განათლების დონეს და მოამზადებს მათ მომავალი პროფესიული მოთხოვნების შესაფერისად.
- სასურველია, პლაგიატის შემოწმების საზღვრების გაფართოება და გარდა თეზისისა, სხვა დავალებების შეფასება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა Turnitin. Turnitin-ზე წვდომის უზრუნველყოფა სტუდენტის ყველა დავალებისთვის, და არა მხოლოდ თეზისებისთვის, უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას პროგრამის მასშტაბით, რაც შეესაბამება ეთიკურ ქცევასთან და დამოუკიდებელი კვლევის უნარებთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს.

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა და კლასგარეშე აქტივობები რეგულარულ სასწავლო გეგმასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან გამოცდილებას, როგორიცაა ინდუსტრიასთან დაკავშირებული გასვლები. ეს უზრუნველყოფს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრები უშუალოდ გაეცნონ რეალურ სამყაროში ბიზნეს ოპერაციებს, როგორიცაა ადგილობრივი ბიზნესის მონახულება ან კორპორატიული გარემოს დაკვირვება.
- სასურველია, ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურის განახლდეს უახლესი შესაძლო გამოცემებით.
- სასურველია, პროგრამაში შეიტანოთ რეგულარული სემინარების სერია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორის პროფესიონალები. ასეთი სესიები სტუდენტებს სთავაზობს უშუალო ურთიერთობას ინდუსტრიის ლიდერებთან, ხელს უწყობს ქსელის შესაძლებლობებს და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ ინფორმაცია ბაზრის მიმდინარე ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ.
- მიზანშეწონილია, რომ სტუდენტებს, რომლებიც ჩააბარებენ ისტორიას, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების მესამე საგანს, ჰქონდეთ მათემატიკის ცოდნა, რათა დააკმაყოფილონ სავალდებულო კურსების მოთხოვნები, როგორიცაა კალკულუსი..
- სასურველია, სტუდენტების ჩართულობის გაღრმავება სხვადასხვა პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარების პროექტში.
- სასურველია, აკადემიამ ხელი შეუწყოს სტუდენტების რაოდენობის გაზრდას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.
- სასურველია, ყოველწლიურად გაიზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- **ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე**

არგუმენტირებული პოზიციის გაანალიზების შემდეგ, თბილისის თავისუფალი აკადემია დაეთანხმა აკრედიტაციის ჯგუფის ბევრ რეკომენდაციას და შემოთავაზებული უკუკავშირის საფუძველზე შეუდგა კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმას. შესაბამისად, ჩვენ ძალაში ვტოვებთ თავდაპირველ რეკომენდაციებსა და რჩევებს ყოველგვარი ცვლილების გარეშე. N6-N8 რეკომენდაციებზე წამოყენებული არგუმენტების თაობაზე გვაქვს შემდეგი პოზიცია: რეკომენდაცია N6 უცვლელი რჩება, რადგან გარკვეული აკადემიური პერსონალი კითხულობს ლექციებს ბევრ სფეროში, როგორიცაა „საბანკო სამართალი“ და „ადამიანური რესურსების მართვა“. უმაღლეს

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

განათლებაში მნიშვნელოვანია იყვნენ გამოცდილი პროფესიონალები, რომლებიც ფლობენ უშუალოდ წაკითხული კურსების შესაბამის კვალიფიკაციას. ეს უკუკავშირი გადამწყვეტია იმისათვის, რომ სტუდენტებს ასწავლიდნენ მოცემულ საგანში ფართო ცოდნისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები. ყოველივე ეს გაზრდის შეთავაზებული განათლების ხარისხსა და შესაბამისობას. N7 რეკომენდაცი რჩება უცვლელი, რადგან ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ზოგიერთ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პროფესიონალს ეკავა რამდენიმე სამუშაო ადგილი. N7-ის არგუმენტირებული პოზიციის დამადასტურებელი დანართები მიღებულ იქნა დასკვნის მომზადების შემდეგ და რეგულაციების შესაბამისად რჩება განუხილველი. დაწესებულებამ ჩაატარა თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ტრენინგების უმრავლესობა, როგორც ეს იყო განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშით, თუმცა, მხოლოდ მცირე რაოდენობა იყო ფოკუსირებული გარკვეულ პროფესიულ სფეროებზე. აქედან გამომდინარე, N8 რეკომენდაცია არის - უფრო მეტი შესაბამისი ტრენინგების დაგეგმვა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან

განხილული პროგრამა აჩვენებს მიზნებს, რომლებიც, როგორც ჩანს, კარგად არის განსაზღვრული და შეესაბამება დაწესებულების ყოვლისმომცველ ხედვას, მისიას და სტრატეგიულ გეგმას, როგორც ეს დაფიქსირდა თვითშეფასების დოკუმენტში და მენეჯმენტთან განხილვისას. ადმინისტრაციამ წარმოადგინა მაგალითები, თუ როგორ ემთხვევა პროგრამის მიზნები დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას, განსაკუთრებით ინოვაციებისა და გლობალური ჩართულობის ხელშეწყობაში დაგეგმილი კონკრეტული ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა სტუდენტების გაცვლითი საერთაშორისო პროგრამები და ინდუსტრიული პარტნიორობა. ეს მიზნები, ფოკუსირებულია კომპეტენტური და სოციალურად პასუხისმგებელი მეწარმეებისა და აღმასრულებელი მენეჯერების მომზადებაზე, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნებიან როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მთავარი მიზანია სტუდენტებში სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მოსაზრებების დანერგვა, ამ მიზანთან დაკავშირებული კურსები, როგორიცაა ბიზნეს ეთიკა, ამჟამად არჩევითია. ეს არჩევითი საგნები სრულად არ მოიცავს სოციალური პასუხისმგებლობის სასწავლო კურსებს, როგორიცაა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და გარემოსდაცვითი, სოციალური საკითხები და მმართველობა (ESG). ამ კურსების სასწავლო გეგმაში ჩართვა აუცილებელია სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მოსაზრებების შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველსაყოფად. ამ კურსების შეთავაზებით, სტუდენტები იღებენ მიზანმიმართულ ინსტრუქციებს პასუხისმგებელი ბიზნეს პრაქტიკის კრიტიკულ ასპექტებზე, რაც შეესაბამება პროგრამის მთავარ მიზანს და აღჭურავს მათ სასიცოცხლო უნარებით თანამედროვე კორპორატიულ სფეროებში ეთიკური და მდგრადი ნავიგაციისთვის.

როგორც ჩანს, სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდური პროცესის საშუალებით, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მიაწოდოს ცოდნა სხვადასხვა სფეროში, მათ შორის ეკონომიკა,

ფინანსები, მენეჯმენტი და მარკეტინგი. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ძალისხმევა კეთდება ისეთი უნარების გამომუშავებაზე, როგორიცაა კომუნიკაცია, კვლევის მეთოდები, ეთიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები, რაც, სავარაუდოდ, უზრუნველყოფს, კურსდამთავრებულები ადეკვატურად იყვნენ მომზადებულნი თანამედროვე ბიზნესის სფეროს მოთხოვნებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ეს მიზნები, სავარაუდოდ, მორგებულია კვლევის სფეროს სპეციფიკაზე, რაც პოტენციურად აძლიერებს მათ შესაბამისობას და გამოყენებადობას ინდუსტრიაში. პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, რომელიც დააკმაყოფილებს როგორც განათლების პირველ საფეხურს, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რითაც გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების შესაძლებლობებში. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მიზანი ხაზს უსვამს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანას, არ არის საკმარისი მტკიცებულება, როგორ მიაღწევს პროგრამა ამ მიზანს. ეს ხარვეზი შეიძლება აღმოიფხვრას კურიკულუმში მეტი რეალური გამოყენების ან საზოგადოებრივი პროექტების ჩართვით. ამით სტუდენტები უშუალოდ ჩაერთვებიან პრაქტიკულ საკითხებში და საზოგადოების საჭიროებზე მორგებულ პროექტებში, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების შესაბამისობას ხელშესახებ შედეგებთან და სარგებელს მოუტანს როგორც სფეროს, ასევე საზოგადოებას. ჩანს, რომ პროგრამა განვითარების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს დაინტერესებულ მხარეებთან, რაც გამოიხატება სტუდენტებისა და დამსაქმებლები ჩართულობით, რათა უზრუნველყონ მისი მიზნების მუდმივი შესაბამისობა და ეფექტურობა. რექტორმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო სტუდენტების ინსტიტუციონალური მხარდაჭერის მექანიზმებს, მათ შორის ქალაქის ტურებს, რომლებიც მიზნად ისახავს მრავალფეროვანი სტუდენტური კონტინგენტისთვის პროგრამის მიზნების მიღწევას.

იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ახალია და ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული, შეხედულებები პროგრამის მიზნებსა და სწავლის რეალურ შედეგებს შორის კავშირის შესახებ მიღებული იქნა წინა წლების კურსდამთავრებულებისაგან. ასეთი გამოხმაურებები თავისი რჩევებით ხელს უწყობს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობის გაუმჯობესებას. რაც პოტენციურად წარმოადგენს სახელმძღვანელო ჩარჩოს სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შეფასების მეთოდოლოგიებისთვის. პროგრამის მიზნები თვალსაჩინო და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან.
- პროგრამის სასწავლო გეგმები
- პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია;
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, კურიკულუმში შედიოდეს კურსები, როგორიცაა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) და გარემოსდაცვითი, სოციალური საკითხები და

მმართველობა (ESG), სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკური მოსაზრებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია კურიკულუმში მეტი რეალური გამოყენების ან საზოგადოებრივი პროექტების ჩართვა, იმის დასამტკიცებლად, როგორ უწყობს ხელს პროგრამის მიზნები სფეროსა და საზოგადოების განვითარებას.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 პროგრამის მიზნები	☐	☒	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტები შეიძენენ პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები მჭიდროდ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და კონკრეტულ სასწავლო სფეროს. ძირითადი აქცენტი კეთდება სტუდენტების ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის გაღრმავებაზე ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგები საფუძვლიანი და ამასთან, რაოდენობრივია, არის ხარვეზები ინდუსტრიაში განვითარებადი ტენდენციებისა და მიმდინარე გამოწვევების გადაჭრის კუთხით. ნაკლები ყურადღება ეთმობა მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი, რომლებიც სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება თანამედროვე კორპორატიულ გარემოში. ეს ხაზს უსვამს პროგრამის შედეგების გაუმჯობესების პოტენციურ სფეროს, განსაკუთრებით მის მიზნებთან და ბიზნეს გარემოს განვითარებად მოთხოვნებთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგებშიმ ზარდი ტენდენციების და თანამედროვე პრობლემების ჩართვა, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მართვა. ეს გაუმჯობესება იძლევა იმის გარანტიას, რომ შინაარსი რჩება შესაბამისი და შეესაბამება ცვალებად ბიზნეს გარემოს, შესაბამისად, ამდიდრებს

სტუდენტების განათლებას და ამზადებს მათ მომავალი პროფესიული მოთხოვნებისთვის. პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს, რომელიც აუცილებელია კურსდამთავრებულებისთვის, რათა ეფექტურად გაუმკლავდნენ ბიზნესის ადმინისტრირების სირთულეებს. ეს მოიცავს ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე კონცეფციების, თეორიებისა და მოდელების სრულყოფილ გაგებას, ასევე ორგანიზაციული აქტივობების ანალიზის უნარს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით. პროგრამის მიზნების მისაღწევად, სტუდენტებს უტარდებათ სემინარები, ტუტორიალები და შექმნილია წერის ცენტრები, რომლებიც ორიენტირებულია კვლევის ტექნიკისა და აკადემიური წერის უნარების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, ენიშნებათ სპეციალიზებული ფაკულტეტის მენტორები რომლებიც უწევენ პერსონალიზებულ დახმარებას. თუმცა, მნიშვნელოვანია გაიზარდოს მხარდაჭერის სერვისები სტუდენტებისთვის, რომლებსაც აქვთ სირთულეები საკვალიფიკაციო ნაშრომთან დაკავშირებით, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის სასწავლო მიზნებს, რომლებიც მიზნად ისახავს დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას.

თვითშეფასების ჯგუფმა ხაზია გაუსვა მუშაობის პროცესს, რომელიც განხორციელდა პროგრამის სწავლის შედეგების შესამუშავებლად, რომელიც მოიცავდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ინდუსტრიის საჭიროებებთან შესაბამისობას და მუდმივ გაუმჯობესებას. მათ განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება პროგრამის პროაქტიულ მიდგომაზე, რომელიც გულისხმობს უკუკავშირის განხილვას სწავლის შედეგების შესაბამისობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ცდილობს გააერთიანოს დაინტერესებული მხარეების ინტერესები და შეხედულებები, მათ შორის უნივერსიტეტის საზოგადოების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და დამსაქმებლების ინტერესები და შეხედულებები, საჭიროა უფრო მძლავრი მექანიზმები უკუკავშირისა და რეკომენდაციების ეფექტიანად ჩართვისთვის. ეს შეიძლება მოიცავდეს პროგრამის სწავლის შედეგების რეგულარულ მიმოხილვას და განახლებას, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა და რეაგირება ინდუსტრიის დინამიკის ცვალებადობაზე. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებული მხარეების პერსპექტივები განიხილებოდა პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებისას, შესამჩნევია დიდი სიცარიელე პედაგოგიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელობის ჩართულობის დონეზე. ფაკულტეტის წევრებისა და პროგრამის ხელმძღვანელის გაზრდილმა ჩართულობამ შეიძლება გააუმჯობესოს პროცესი ღირებული პერსპექტივებისა და ცოდნის შეთავაზებით, რაც გარანტიას იძლევა, რომ სწავლის შედეგები არა მხოლოდ შეესაბამება ინდუსტრიის მოთხოვნებს, არამედ აჩვენებს დაწესებულების აკადემიურ სიძლიერეს და გამოცდილებას. ადგილზე ვიზიტის დროს გამოკითხულმა დამსაქმებლებმა გააზიარეს კურსდამთავრებულების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც აკმაყოფილებენ ინდუსტრიის საჭიროებებს, მოიყვანეს პროგრამის კურსდამთავრებულების მიერ სამუშაო ადგილზე გამოვლენილი უნარების შემთხვევები. თუმცა, მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია სტუდენტები უკეთ იყენებდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, ჰქონდეთ ლიდერობის თვისებები და აღჭურვილი იყვნენ უახლესი ბიზნეს ცოდნით, როგორიცაა ციფრული მარკეტინგი. დამსაქმებლებმა ხაზი გაუსვეს სტუდენტების MS Word-სა და Excel-ში

კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებლობას, რათა შეესაბამებოდეს პროგრამის მიზანს, რაც გულისხმობს კურსდამთავრებულების პროფესიული წარმატებისთვის მათი პრაქტიკული კომპეტენციებით აღჭურვა. MS Word-სა და Excel-ზე სპეციალიზებული ტრენინგის ან სემინარების ინტეგრირება სასწავლო გეგმის ფარგლებში გაზრდის სტუდენტების უნარს გააანალიზონ მონაცემები, ეფექტურად იკომუნიკაციონ და დამოუკიდებლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები, რითაც დააკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და პროგრამის სწავლის შედეგებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან.
- პროგრამის სასწავლო გეგმები
- პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების დამტკიცების მეთოდოლოგია
- უნივერსიტეტის მისია;
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, სასწავლო პროგრამაში ადრეულად შემოიტანოთ სტრუქტურირებული კურსი ან მოდული, ლიტერატურის მიმოხილვის ექსპერტის დონეზე წარმართვის მიზნით, რაც განსაკუთრებით ავითარებს კრიტიკული ანალიზისა და კვლევის უნარებს, რაც შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, MS Word-სა და Excel-ზე სპეციალიზებული ტრენინგის ან სემინარების ინტეგრირება სასწავლო გეგმის ფარგლებში, რათა გაიზარდოს სტუდენტების უნარი გააანალიზონ მონაცემები, ეფექტურად დაუკავშირდნენ და შეასრულონ თავიანთი მოვალეობები დამოუკიდებლად, რათა დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები და პროგრამის სწავლის შედეგები.
- სასურველია, ჩატარდეს ვორქშოფები, ტუტორიალები და შეიქმნას წერის ცენტრები კვლევის მეთოდოლოგიისა და აკადემიური წერის უნარების დახვეწის მიზნით; ხოლო ფაკულტეტის მენტორების პერსონიზირებული დახმარება უზრუნველყოფს სტუდენტთა მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სასურველია, პროგრამის სწავლის შედეგების გაუმჯობესება უახლესი ტენდენციებისა და თანამედროვე გამოწვევების ინტეგრირებით, როგორიცაა მდგრადობა, ციფრული ტრანსფორმაცია და გლობალური მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი. ეს უზრუნველყოფს პროგრამის აქტუალობას და თანამედროვე ბიზნესის სფეროსთან შესაბამისობას, გაზრდის სტუდენტთა განათლების დონეს და მოამზადებს მათ მომავალი პროფესიული მოთხოვნების შესაფერისად.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☐	☒	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალმა აკადემიამ დანერგა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველი მექანიზმები, რომლებიც მოიცავს შეფასების როგორც პირდაპირ, ასევე ირიბ მეთოდებს. მაშინ როცა პირდაპირი შეფასება მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორიცაა გამოცდები, პრეზენტაციები და პროექტები, ირიბი მეთოდები მოიცავს სტუდენტების მიერ თვითშეფასებას, დამსაქმებლის გამოხმაურებას და სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვებს. გარე დაინტერესებული მხარეები, მათ შორის დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და პროფესიული ასოციაციები, ჩართულნი არიან სწავლის შედეგების შეფასებაში სხვადასხვა არხებით, როგორიცაა გამოკითხვები, ფოკუს ჯგუფები და ინტერვიუები. მათი გამოხმაურება ინტეგრირებულია გაუმჯობესების პროცესში მათი წინადადებების ჩართვით სასწავლო გეგმის გაუმჯობესებისა და უნარების განვითარების მიზნით ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება დახასიათებულია, როგორც უწყვეტი პროცესი, რომელიც ხაზს უსვამს სტუდენტების მიღწევის დონის განსაზღვრის მნიშვნელობას და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრას. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული სწავლის შედეგისთვის კონკრეტული კრიტერიუმები არ იყო ცალსახად ნახსენები, ადმინისტრაციასთან და თვითშეფასების ჯგუფთან ჩვენი დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ სამიზნე ნიშნულები მართლაც დადგენილია თითოეული სწავლის შედეგისთვის. შეფასების შედეგები რეგულარულად კონტროლდება და ადარებენ ამ კრიტერიუმებს, რათა შეფასდეს პროგრამის ეფექტურობა დასახული შედეგების მისაღწევად. ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა დეტალურად განმარტა, თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით და როგორ ხორციელდება გაუმჯობესების ციკლი გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. თითეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები; არსებობს სამართლიანი ხედვა იმ კრიტერიუმებზე,

რომლებიც გამოიყენება ამ სამიზნე ნიშნულების დასადგენად და იმის დასაგენად, თუ როგორ შეესაბამება ისინი აკადემიურ სტანდარტებს და ინდუსტრიის მოლოდინებს. სწავლის შედეგების შეფასების გასაუმჯობესებლად აუცილებელია პლაგიატის შემოწმების გაფართოება, რაც გულისხმობს, რომ იგი არ უნდა ეხებოდეს მარტო საკვალიფიკაციო ნაშრომს. სხვა დავალებების შეფასებების ჩართვა ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა Turnitin, უზრუნველყოფს სტუდენტის ყველა ნამუშევრის შესწავლას ორიგინალურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით. სტუდენტის ყველა ნაშრომზე Turnitin-ზე წვდომის უზრუნველყოფა გააძლიერებს პროგრამის პასუხისმგებლობას ეთიკური ქცევისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარებისადმი. ეს მიდგომა ემთხვევა სწავლის შედეგებს, რომლებიც გულისხმობს აკადემიური კეთილსინდისიერების მაღალი სტანდარტების შენარჩუნებას და ეხმარება სტუდენტებს პატიოსნებისა და პასუხისმგებლობის კულტურის ჩამოყალიბებაში. აკადემიამ აღნიშნა, რომ ისინი მზად არიან უზრუნველყონ ინსტიტუციური მხარდაჭერა აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის სწავლის შედეგების შემუშავებასთან, გაზომვასთან და ანალიზთან დაკავშირებული უნარების გამომუშავებაში. აკადემიური და მოწვეული პერსონალი მხარს უჭერს შეფასების მეთოდების შემუშავებასა და განხორციელებაში ტრენინგების ჩატარებას და მუდმივი პროფესიული განვითარების შესაძლებლობების არსებობას. პროგრამის ხელმძღვანელი ზედამხედველობს ამ პროცესს და უზრუნველყოფს, რომ პერსონალი აღჭურვილი იყოს საჭირო უნარებითა და რესურსებით სწავლის შედეგების ეფექტურად შესაფასებლად და პროგრამის გაუმჯობესების მცდელობებში წვლილის შეტანისთვის. ეს ხაზს უსვამს პროაქტიულ მიდგომას ფაკულტეტის განვითარების მიმართ, რაც უზრუნველყოფს, რომ პედაგოგები აღიჭურვილი არიან საჭირო ინსტრუმენტებითა და ცოდნით, რათა ეფექტური წვლილი შეიტანონ შეფასების პროცესში. ადგილზე ვიზიტის დროს ცხადი გახდა ამ მხარდაჭერის ხასიათისა და მასშტაბის სპეციფიკა, რაც გულისხმობს გავლენას შეფასების პრაქტიკის გაძლიერებაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტთან.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდია www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, პლაგიატის შემოწმების საზღვრების გაფართოება და გარდა თეზისისა, სხვა დავალებების შეფასება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა Turnitin. Turnitin-ზე წვდომის უზრუნველყოფა სტუდენტის ყველა დავალებისთვის, და არა მხოლოდ თეზისებისთვის, უზრუნველყოფს აკადემიურ კეთილსინდისიერებას პროგრამის მასშტაბით,

რაც შეესაბამება ეთიკურ ქცევასთან და დამოუკიდებელ კვლევის უნარებთან დაკავშირებული სწავლის შედეგებს.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. ასე რომ, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას აქვს პროგრამის სტრუქტურა, რომელიც იცავს დაწესებულების მეთოდოლოგიას საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარებისის შესახებ. განვითარების პროცესი, რომელიც მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, ინსპექტირებას და რეაგირების ეტაპებს, უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას როგორც ინსტიტუციურ მიზნებთან, ასევე ინდუსტრიის მოთხოვნებთან. დაგეგმვის ეტაპზე პროგრამის საჭიროებების საფუძვლიანი ანალიზი და დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება საფუძველს უქმნის სასწავლო გეგმის შემუშავებას. განხორციელების ფაზა, რომელსაც ხელმძღვანელობს სამუშაო ჯგუფი, უზრუნველყოფს პროგრამის შესრულების სისტემურ მიდგომას, მათ შორის SWOT ანალიზს ძლიერი, სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების დასადგენად. შემდგომი შემოწმებისა და რეაგირების ეტაპები ხელს უწყობს მუდმივ გაუმჯობესებას, შეფასებული შედეგების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებებით. ადგილზე ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას სწავლის შედეგების შემუშავებაში. მან განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და

დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროცესში. მათი მოსაზრებები და რეკომენდაციები განხილული იყო გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებისა და ინტერვიუების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფდა დაინტერესებული მხარეების მოლოდინებთან შესაბამისობას. სხვადასხვა დაინტერესებული მხრის ჩართულობა ხაზს უსვამს პროგრამის რეაგირებას ინდუსტრიის მოთხოვნებზე. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, შინაარსით, მოცულობითა და სირთულით შეესაბამება როგორც საკანონმდებლო მოთხოვნებს, ასევე კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები სტრატეგიულად არის შემუშავებული, რათა აღჭურვოს სტუდენტები ფუნდამენტური თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნარებით, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის ადმინისტრირების პროფესიისთვის. ინგლისური ენის კომპონენტების ჩართვა ასახავს დარგის გლობალურ ხასიათს და აძლიერებს სტუდენტების ლინგვისტურ შესაძლებლობებს. პროგრამის კრედიტების განაწილება გულისხმობს სავალდებულო სასწავლო კომპონენტების, არჩევითი კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების არსებობას პროგრამაში. ეს განაწილება უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ, და მოქნილ სასწავლო გამოცდილებას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, მოარგონ თავიანთი განათლება თავიანთ ინტერესებსა და კარიერულ მიზნებს. დასაქმების მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შეშფოთების საპასუხოდ, პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგები შექმნილია ინდუსტრიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კურსდამთავრებულები აღჭურვილი არიან თანამედროვე სამუშაო ბაზრის შესაბამისი უნარებითა და ცოდნით, რაც ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობას. გარდა ამისა, პროგრამა ქმნის შემდგომი განათლების შესაძლებლობას, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს განაგრძონ სწავლა შემდეგ საფეხურზე ან ჰქონდეთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა სილაბუსების შემუშავებაში, სასწავლო გეგმის შემუშავებასა და მასალის შერჩევაში ხელს უწყობს პროგრამის აქტუალურობასა და ეფექტურობას. დამსაქმებლის შეყვანა კიდევ უფრო აძლიერებს პროგრამის ხარისხს, ღირებული წინადადებებით, რომლებიც განკუთვნილია ინდუსტრიის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თვითშეფასების ჯგუფმა განიხილა შრომის ბაზრის მოთხოვნების ინტეგრირება სწავლის შედეგებში კონკრეტული მაგალითების მოწოდებით. მათ გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ინდუსტრიის გამოხმაურებამ გავლენა მოახდინა სასწავლო გეგმაზე, როგორიცაა პრაქტიკული სემინარების და სტაჟირების ჩართვა დარგის თავისებურებებთან დაკავშირებით. ეს უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მომზადებას იმ უნარებითა და ცოდნით, რომლებსაც ეძებენ დამსაქმებლები ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. პროგრამის მიწოდების დიზაინსა და სტრუქტურაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა მეტ ჩართულობას და კლასგარეშე აქტივობების უზრუნველყოფას სასწავლო გეგმასთან ერთად. მრავალფეროვანი გამოცდილების შეთავაზება, როგორიცაა ინდუსტრიასთან დაკავშირებული გასვლები, როგორიცაა ადგილობრივი ბიზნესების მონახულება ან კორპორატიული გარემოზე დაკვირვება, საშუალებას აძლევს ბიზნესის ადმისნიტრირების ბაკალავრს უშუალოდ გაეცნონ რეალურ სამყაროში ბიზნეს ოპერაციებს. ეს კონტაქტი აუცილებელია თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებასთან დასაკავშირებლად. პროგრამაში რეგულარული სემინარების სერიის ჩართვა, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორის პროფესიონალები, ასევე შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს. ეს სესიები

სტუდენტებს სთავაზობს უშუალო ურთიერთობას ინდუსტრიის ლიდერებთან, ხელს უწყობს ქსელის შესაძლებლობებს და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ ღირებული ინფორმაცია ბაზრის მიმდინარე ტენდენციებსა და გამოწვევებზე. ეს მიდგომა აძლიერებს საგანმანათლებლო გამოცდილების შესაბამისობას და პრაქტიკულობას, ამზადებს სტუდენტებს უფრო ეფექტურად მათი მომავალი კარიერისთვის. კურსდამთავრებულებისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ სტანდარტებთან აღიარებას და შესაბამისობას. კურსდამთავრებულები იღებენ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხს, რაც ადასტურებს მათ კომპეტენციას და მზადყოფნას ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის შინაარსი, სასწავლო დარგის სპეციფიკის გათვალისიწინებით და პროგრამის დონის მიხედვით, ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების კარგად მომზადებას გლობალურ ბიზნეს გარემოში ჩართვისთვის. აკადემია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, რაც მას ხელმისაწვდომს ხდის პერსპექტიული სტუდენტებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის პროგრამის სტრუქტურის, მიზნებისა და შედეგების გასაგებად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს, განსაკუთრებით ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტთან, დამსაქმებლებთან და სტუდენტებთან.
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდია www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა და კლასგარეშე აქტივობები რეგულარულ სასწავლო გეგმასთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვან გამოცდილებას, როგორიცაა ინდუსტრიასთან დაკავშირებული გასვლები. ეს უზრუნველყოფს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრები უშუალოდ გაეცნონ რეალურ სამყაროში ბიზნეს ოპერაციებს, როგორიცაა ადგილობრივი ბიზნესის მონახულება ან კორპორატიული გარემოს დაკვირვება.
- სასურველია, პროგრამაში შეიტანოთ რეგულარული სემინარების სერია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ბიზნეს სექტორის პროფესიონალები. ასეთი სესიები სტუდენტებს სთავაზობს უშუალო ურთიერთობას ინდუსტრიის ლიდერებთან, ხელს უწყობს ქსელის შესაძლებლობებს და საშუალებას აძლევს მათ მიიღონ ინფორმაცია ბაზრის მიმდინარე ტენდენციებისა და გამოწვევების შესახებ.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ორმოცდათვრამეტი სასწავლო კურსს. ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კომპონენტები - 185 კრედიტი, მათ შორის: ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო კურსები - 163 კრედიტი; ინგლისური ენის კომპონენტები - 22 კრედიტი; ძირითადი სასწავლო დარგის არჩევითი საგნები - შემოთავაზებული ასი კრედიტიდან ორმოცი კრედიტის აღება სავალდებულოა. თავისუფალი კომპონენტები - სავალდებულო ოცი კრედიტი - შემოთავაზებული ორმოცი კრედიტიდან თხუთმეტი კრედიტის აღება სავალდებულოა. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: სწავლის დონე, კრედიტების რაოდენობა, წინაპირობები, კურსის მიზანი, სწავლის შედეგები, სასწავლო დატვირთვის განაწილება, გამოყენებული ლიტერატურა, შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, სწავლების/სწავლის მეთოდები და სხვა. ზოგიერთ კურსს სჭირდება წინაპირობების გათვალისწინება, მაგალითად, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში; სტრატეგიული მარკეტინგი; მომხმარებლის ქცევა; საზოგადოებასთან ურთიერთობები; ცვლილებების მენეჯმენტი; ასევე, არის კურსები, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს ერთ კურსად: კერძოდ მარკეტინგი 1 და მარკეტინგი 2.

ძირითადი სასწავლო დარგის სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. მაგრამ თავად პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება ბიზნესის ადმინისტრირების სამიზნე ნიშნულების დოკუმენტს. ამის მიხედვით უნდა მოხდეს ზოგიერთი არჩევითი საგნის რეორგანიზაცია და სავალდებულო კურსად უნდა ჩაითვალოს.

კურსების შინაარსი და სწავლა - სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსების სწავლის შედეგებს. პროგრამით გათვალისწინებული ყველა კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები) უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა გამოითვლება მისი სპეციფიკის, მახასიათებლებისა და მოცულობის გათვალისწინებით და რა დრო სჭირდება საშუალო სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის შესასწავლად. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება კურსის/საგნის შინაარსს და სწავლის შედეგებს.

ზოგადად, კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო საკითხავი და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა უნდა განახლდეს, რადგან ისინი მოძველებულია (მარკეტინგი - მეშვიდე გამოცემა - 2004; ციფრული მარკეტინგი - 2018; - ბრენდინგი - 2004; 2015); და ზოგიერთი კურსი იზიარებს ერთსა და იმავე სავალდებულო ლიტერატურას, მაგ., სტრატეგიული მარკეტინგი და რეკლამა და პოპულარიზაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტების დროს აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყველა კურსს ჰქონდეს შესაფერისი წინაპირობები, რაც სტუდენტებს მისცემს შესაბამის ცოდნას და უნარებს.
- რეკომენდებულია, გაითვალისწინოთ ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, იმის უზრუნველსაყოფად, რომ კურსები შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს, კერძოდ, ბიზნეს კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების კურსები შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო კურსებად სწავლის სფეროს შედეგების მისაღწევად.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს უახლესი შესაძლო გამოცემებით.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☒	☐	☐

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალმა აკადემიამ განსაზღვრა პროგრამაზე მიღების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე მიღების ზოგადი მოთხოვნები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირების ჩართვას, მაგრამ არის გარკვეული საკითხები, რომლებიც გასათვალისწინებელია. პირველ რიგში, ერთიანი ეროვნული გამოცდების მიხედვით აპლიკანტებს შეუძლიათ მესამე არჩევით გამოცდად ისტორია ან მათემატიკა ჩააბარონ; პროგრამამ უნდა გაითვალისწონოს გარკვეული კურსი სტუდენტებისთვის, რომლებიც ისტორიით აბარებენ პროგრამაზე. მეორე, პროგრამა გთავაზობთ ინგლისური ენის 1 და ინგლისური ენის 2 კურსებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა სტუდენტისთვის, ამავდროულად მისაღებ გამოცდებზე არის განსხვავებული მოთხოვნები, საქართველოს მოქალაქეებისთვის - უცხო ენა (ინგლისური - მინიმუმ (50%+1); და უცხოელებისთვის – ინგლისური ენის B2 დონის ფლობა. შესაბამისად, პროგრამაში დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან.

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და ორიენტირებულია პირის უნარზე დაძლიოს პროგრამა. დაშვების პროცედურების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია უსდ-ის ვებ-გვერდზე. პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიით.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას და დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესების შეუფერხებლად წარმართვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირების
- კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- უსდ –ს ოფიციალური ვებგვერდი.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მიზანშეწონილია, რომ სტუდენტებს, რომლებიც ჩააბარებენ ისტორიას, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების მესამე საგანს, ჰქონდეთ მათემატიკის ცოდნა, რათა დააკმაყოფილონ სავალდებულო კურსების მოთხოვნები, როგორიცაა კალკულუსი.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგებისა და განათლების დონის მიხედვით, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ტრანსფერული უნარების განვითარებას ან/და კვლევით პროექტებში ჩართვას.

პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდოლოგიისა და კრედიტების განაწილების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტის ფარგლებში დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი არის საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც პროგრამის ფარგლებში 30 კრედიტს შეადგენს. ეს ნაშრომი წარმოადგენს თეორიული სწავლების კულმინაციას, რომელიც ხაზს უსვამს სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ სიტუაციაში გამოყენებას. საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისას, სტუდენტმა უნდა მოახდინოს იმის დემონსტრირება, რამდენად შეესაბამება მისი ცოდნის დონე, პრაქტიკული უნარები და კომპეტენციის ხარისხი, პროგრამის კომპონენტებსა და პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სტუდენტების პრაქტიკული უნარების შემდგომი გაზრდის მიზნით, პრაქტიკული ლექციების გარდა, მეტი აქცენტი შეიძლება გაკეთდეს ბიზნეს ინდუსტრიასთან კავშირების დამყარებაზე, ვორქშოფების, სემინარების ან სხვადასხვა კონკურსის ჩართვაზე პროგრამაში; უმაღლეს სასწავლებელს შეუძლია განავითაროს დამატებითი სარეკლამო აქტივობები სტუდენტების მოტივაციისა და მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

უსდ–მ მოგვაწოდა ხელმოწერილი მემორანდუმი სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომელებიც ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობას, მიზნებს, შედეგს და პრაქტიკის ხანგრძლივობას და ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები;
- საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი "Academlab";
- ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ჟურნალი „მომავლის ლიდერი“;
- მემორანდუმი პრაქტიკის ორგანიზაციებთან

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია სტუდენტების ჩართულობის გაღრმავება სხვადასხვა პრაქტიკული/კვლევითი უნარების განვითარების პროექტში.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელების მიზნით, ასევე სტუდენტის პროგრესის ეფექტურად შესაფასებლად, საგულდაგულოდ არის შერჩეული სწავლებისა და შეფასების შესაბამისი

მეთოდოლოგია. სწავლა-სწავლების ეს ხერხები ხელს უწყობს სტუდენტთა ახალი ცოდნის მიღებას, დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანას, კრიტიკულ აზროვნებასა და საგნის გაგების გაღრმავებას. სტუდენტების შეფასება მოიცავს მრავალ კომპონენტს და ზედმიწევნით აფასებს დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებს თითოეული კურსისთვის. სტუდენტის შეფასება ეყრდნობა შეფასების ოთხ ფუნდამენტურ პრინციპს - ობიექტურობა, სანდოობა, ვალიდობა და გამჭვირვალობა– და უზრუნველყოფს სამართლიანობასა და სიზუსტეს. თითოეული აკადემიური კურსის/საგნის სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება დარგობრივ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო კურიკულუმის თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებული მეთოდები მორგებულია სწავლების დონეს, კურსის შინაარსს, სწავლის კონკრეტულ შედეგებს და ინდუსტრიის სპეციფიკურ მოთხოვნებს. სწავლის ამ ტექნიკის შერჩევისას, ყურადღებით განიხილება კურსის მიზნები, მოსალოდნელი შედეგები და ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენა და დემონსტრირება.

სწავლა-სწავლების მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური პროგრამა და გამოიყენება სტუდენტის ინტერესისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად.

ვინაიდან პროგრამა ახალია და არ ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები, ჩვენ გვაქვს მხოლოდ პერსონალის გასაუბრების შედეგები, რომლებიც ითვალისწინებენ საერთაშორისო სტუდენტების კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს სწავლებისა და სწავლის და შეფასების მეთოდების დადგენისას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირება
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტების დროს აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)
რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ აკადემიაში სტუდენტების შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების მიხედვით და შეესაბამება როგორც გარე, ისე შიდა საუნივერსიტეტო კანონმდებლობას. შეფასების მეთოდები სამართლიანია ყველა სტუდენტისთვის, ასევე მათ კარგად იციან ქულების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, რაც შეესაბამება კანონმდებლობას. სტუდენტების ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს როგორც მიმდინარე, ასევე შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. თითოეულ სასწავლო კურსზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ ორმოცდათერთმეტი ქულა მაქსიმალური შეფასებიდან, რათა ჩაეთვალოს გავლილი სასწავლო კურსი. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დეტალურად არის გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს:

დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

(A) ფრიადი - 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;

(C) კარგი - 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - 51-60 ქულა;

და ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა; ნიშნავს, რომ სტუდენტი გამოცდის ჩასაბარებლად საჭიროებს მეტ მუშაობას, დამოუკიდებელი მუშაობის ფორმით და მას ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა– 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი/სასწავლო ახლიდან აქვს შესასწავლი.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტები კარგად იცნობენ შეფასების სქემას და კომპონენტებს, რაც დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრებით, ხოლო მოწვეული და აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფს შეფასების კრიტერიუმების გაცნობას.

აკადემიაში ფუნქციონირებს ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები მუდმივად იღებენ სხვადასხვა ინფორმაციას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და გასაუბრებებიდან ნათლად ჩანს და დასტურდება, რომ აკადემიაში

ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი. საწყის ეტაპზე სასწავლო კურსის აკადემიური და მოწვეული პერსონალი საგამოცდო მასალებს აწვდის საგამოცდო ცენტრში, რის შემდეგაც ხდება ინფორმაციის ასახვა სტუდენტებისთვის მონაცემთა ბაზაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკადემიამ შეიძინა პლაგიატის გამოვლენის პროგრამა - Turnitin, რომლის მეშვეობითაც ხდება აკადემიის ფარგლებში შექმნილი ნაშრომების შემოწმება. ამასთან, აკადემიამ აკადემიურ საბჭოზე დაამტკიცა პლაგიატის რეგულაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი.
- ინტერვიუები.
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში - დანართი N1.
- სასწავლო კურსების სილაბუსები –დანართი N1.
- შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტი - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი www.freeacademy.edu.ge;
- ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.
- საგამოცდო ცენტრის რეგულაცია.
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდია www.freeacademy.edu.ge

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.4. სტუდენტის შეფასება:	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალ აკადემიაში მოქმედებს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, ელექტრონული შეტყობინების საშუალებით დაამყაროს კომუნიკაცია სასწავლო კურსის მასწავლებელთან და ადმინისტრაციასთან.

სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია აკადემიაში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სოციალური დახმარება, დასვენების სერვისები და ა.შ.). სტუდენტების ინფორმირება, აკადემიის სტუდენტები ინფორმაციას იღებენ საჯარო ინფორმაციის განთავსებით უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (საჯარო ინფორმაცია), ინფორმაციის ზეპირი მიწოდებით და თბილისის თავისუფალი აკადემიის ოფიციალური ელექტრონული ფოსტით სტუდენტის კორპორატიულ ელფოსტაზე პირადი შეტყობინების გაგზავნით (პერსონალური შეტყობინება).

კარიერული განვითარების კუთხით აკადემია მხარს უჭერს სტუდენტებს, კერძოდ, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აკადემია აწყობს პერიოდულ შეხვედრებს სტუდენტებთან. სურვილის შემთხვევაში, სტუდენტებთან პერსონალური ან ჯგუფური შეხვედრების ჩატარება მათ ეხმარება პროფესიულ ორიენტაციასა და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი კარიერის მართვაში. სტუდენტები მუდმივად არიან ინფორმირებულნი შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენებისა და პერსპექტივების შესახებ. ასევე, მუდმივად მიმდინარეობს მათთვის სამუშაოს მოძიება და შეთავაზება. სტუდენტების ინფორმირება ხდება სხვადასხვა გზით, აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდით, ელ.ფოსტით. ფოსტით, პირადი კომუნიკაციის საშუალებით და ასევე სოციალური ქსელების საშუალებით. სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, იმართება სხვადასხვა სახის შეხვედრები დამსაქმებლებთან.

აკადემია აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი პროექტის შესახებ, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა პრაქტიკულად შეუწყოს ხელი სტუდენტების უფრო მეტ ჩართულობას სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებაში.

დოკუმენტებიდან და ადგილზე ვიზიტიდან ირკვევა, რომ სტუდენტების რაოდენობა, რომლებსაც ექნებათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში სხვადასხვა ქვეყანაში, მცირეა, თუმცა არის ახალი პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მემორანდუმები, რომლებიც მოითხოვს მასში თავმოყრილი ყველა ჩანაწერის პრაქტიკულ განხორციელებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი.
- ინტერვიუები.
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერა.
- უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სასწავლო პროცესის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა.
- შეთანხმება "Hosti.GE".
- სტუდენტის/პროფესორის/ადმინისტრაციის ელექტრონული პორტალი.
- აკადემიის სოციალური ქსელი.
- აკადემიის ოფიციალური ვებგვერდი - www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, აკადემიამ ხელი შეუწყოს სტუდენტების რაოდენობის გაზრდას, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში.

- სასურველია, ყოველწლიურად გაიზარდოს გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების რაოდენობა სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანაფარდობა იძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ შესრულების წინაპირობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტი 3.2 არ მიესადაგება (NA) ამ პროგრამების აკრედიტაციას.

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრატურის/დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ არის მითითებული

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული

შეფასება

არ არის მითითებული

შესაბამისობა პროგრამასთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში, რომელიც ხორციელდება ინგლისურ ენაზე, სწავლებას უძღვებიან აკადემიური პერსონალი და მოწვეული ლექტორები. ეს პირები არ არიან მხოლოდ დარგის სპეციალისტები, არამედ ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პრაქტიკულ გამოცდილებას და სპეციალიზებული არიან თავიანთ სფეროებში. ისინი ახდენენ თავიანთ კომპეტენციისა და გამოცდილების დემონსტრირებას კონკრეტული სალექციო კურსების ჩატარებით, რითაც აკმაყოფილებენ პროგრამის საგანმანათლებლო შედეგებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიური პერსონალის CV-ები, რათა გაცნობოდა მათ პუბლიკაციებს ბოლო 5 წლის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის უმრავლესობას აქვს სფეროს შესაბამისი პუბლიკაციები, პუბლიკაციების უმეტესობა არ სცილდება 2021 წელს, რაც ხაზს უსვამს მათ მიერ ცოდნის მუდმივი ძიების და თავიანთ სფეროებში ცოდნის განახლების ნაკლებობას.

აკადემიური პერსონალის ურყევი ერთგულება პროგრამისადმი, მათი კვალიფიკაციისა და თავდადების მკაფიო დასტურია აკადემიის საკანონმდებლო და შინაგანაწესის მკაცრად დაცვა. პროგრამა შეიცავს კარგად სტრუქტურირებულ სემესტრზე დაფუძნებულ სქემას აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რომელიც მოიცავს სწავლებას, კვლევას და სხვა მოვალეობებს მათი როლებიდან გამომდინარე. ეს ყოვლისმომცველი სქემა ითვალისწინებს მათ დატვირთვას ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სადაც ისინი დასაქმებულები არიან, სტუდენტთა კონსულტაციისთვის დათმობილი დროის ჩათვლით. საათობრივი დატვირთვის კუთხით, აფილირებულ პროფესორს ეძლევა სწავლების ვალდებულება 8-დან 10 საათამდე, აფილირებულ ასოცირებულ პროფესორს 10-დან 12 საათამდე, აფილირებულ ასისტენტ პროფესორს 12-დან 14 საათამდე და ასისტენტს 14-დან 16 საათამდე.

აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრების მიხედვით, კონსულტაციის საათები ხელმისაწვდომია და საჭიროების შემთხვევაში ტარდება. სტუდენტებთან ინტერვიუების მიხედვით, ლექტორები ყოველთვის მზად არიან გაუწიონ დამატებითი დახმარება, უზრუნველყონ დამხმარე სასწავლო გარემო.

შეფასების ჯგუფმა დააფიქსირა, რომ ზოგიერთი ლექტორი უძღვება მრავალ სასწავლო კურსს. მაგალითად, ერთი ასოცირებული პროფესორი უძღვება ხუთ სასწავლო კურსს. ასევე, ერთ–ერთი მოწვეული წევრი ატარებს სასწავლო კურსებს სხვადასხვა კვალიფიკაციის სფეროდან. გარდა ამისა, CV–ის მიხედვით ცხადი გახდა, რომ პერსონალის ნაწილი უმაღლეს სასწავლებლის გარეთ მრავალ თანამდებობაზე და როლზეა დაკავებული.

პროგრამის პერსონალის რაოდენობა ემთხვევა სტუდენტთა მოსალოდნელ რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს მის შეუფერხებელ მუშაობას და მდგრადობას. პერსონალის მიერ ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ სესიებზე სწავლების ხარისხის მონიტორინგი ხდება აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მეშვეობით, სპეციალური გამოკითხვის ინსტრუმენტების

გამოყენებით. ინტერვიუებით ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამისათვის აკადემიამ ჩართო დამატებითი ახალი პედაგოგიური პერსონალი. ამრიგად, პროგრამას ჰყავს თვრამეტი აკადემიური პერსონალი (3 აფილირებული პროფესორი, 5 აფილირებული ასოცირებული პროფესორი და 1 აფილირებული ასისტენტ პროფესორი 1) და 6 მოწვეული პერსონალი. ეს ხაზს უსვამს პროგრამის მდგრადობისთვის არსებულ ფონს, რომელიც გათვლილია დაგეგმილ ორმოცდაათ სტუდენტზე.

პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის განვითარებისთვის აუცილებელ ცოდნას, კვალიფიკაციას და გამოცდილებას. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს დდასტურდა, რომ იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში. ეს მოიცავს მუდმივ მონაწილეობას პროგრამის შეფასებასა და გაუმჯობესებაში, სტუდენტთა კონსულტაციასა და პროგრამასთან დაკავშირებულ აქტივობებს. აკადემიის ადმინისტრაცია და სხვადასხვა დეპარტამენტი მხარს უჭერს პროგრამის განხორციელებას, ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის მონიტორინგით და სტუდენტების გამოხმაურებით. კომპეტენტური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი უშუალოდ უჭერს მხარს პროგრამას, მათი კვალიფიკაციით, რომელიც შეესაბამება მათ პასუხისმგებლობებს. თუმცა, პროგრამის ხელმძღვანელის CV-ის შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ იგი სხვადასხვა უსდ-ს და ორგანიზაციაში მრავალ მოვალეობას ასრულებს. გარდა პროგრამის ხელმძღვანელისა და თბილისის თავისუფალი აკადემიაში ასოცირებული პროფესორის თანამდებობისა, ის ასევე იკავებს ასისტენტ-პროფესორის თანამდებობას Webster University Georgia-ში; არის მრჩეველი აზიის განვითარების ბანკში (ADB ღონისძიების ორგანიზაცია); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კონსულტანტი; მენეჯმენტისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი; და Xperts საბჭოს ექსპერტი. გარდა ამისა, ის არის თბილისის თავისუფალი აკადემიის სკოლის დეკანი.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით** **დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	**24**	**24**	**15**	**12**
- პროფესორი	6	5	6	3

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასოცირებული პროფესორი	8	6	8	6
- ასისტენტ–პროფესორი	3	1	1	3
- ასისტენტი	1	0		
მოწვეული პერსონალი	6	1		_
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- BA პროგრამა
- ფაკულტეტის CV–ები და პუბლიკაციები
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევის შედეგების რაოდენობა და ხარისხი.
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში კვალიფიკაციის შესაბამისი პერსონალის ჩართვა.
- რეკომენდებულია პერსონალის დატვირთვის გადახედვა, მათ შორის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის.

რჩევები პროგრამის განსავითარებლად: (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1. ადამიანური რესურსები	☐	☒	☐	☐

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტანდარტი 4.2 არ გამოიყენება (NA) ამ პროგრამების აკრედიტაციისთვის

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			_
სამეცნიერო პერსონალი			_

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

არ არის მითითებული
რეკომენდაციები:

არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არ არის მითითებული
შეფასება

არ არის მითითებული

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➢ უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.

➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ჩატარებული საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესის გასამარტივებლად, აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური (QMS) ყოველ სემესტრში იცავს სტრუქტურირებულ პროცედურას, კერძოდ, აკადემიის ხარისხის მართვის სამსახური (QMS) სისტემატურად აფასებს სასწავლო კურსებს, რომლებიც შემოთავაზებულია ყველა პროგრამის ფარგლებში სემესტრულად.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ცხადი ხდება, რომ ამ შეფასებების დაწყებამდე QMS მიზნად ისახავს პერსონალის ინფორმირებას შეფასების კრიტერიუმებისა და ამოცანების შესახებ, რაც უზრუნველყოფს გარკვევას, თუ რა ფასდება და რატომ. გარდა ამისა, თანამშრომლებს ეძლევათ წინასწარი შეტყობინება, როდესაც QMS გეგმავს მათ ლექციებზე დასწრებას პირდაპირი დაკვირვების მიზნით. QMS-ის პასუხისმგებლობის ნაწილი მოიცავს გამოკითხვების ჩატარებას სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის, რომელიც შესაბამისობაშია მათ ოპერატიულ სამუშაო გეგმასთან. QMS ასევე პასუხისმგებელია შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების ჩამოყალიბებაზე და უზრუნველყოფს ამ შეფასებების შედეგების მიწოდებას პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის. ეს შეფასებები ტარდება ყოველ სემესტრში და შეიძლება იყოს საყოველთაო ან შერჩევითი QMS-ის შეხედულებისამებრ, რაც უზრუნველყოფს, რომ შედეგები კონფიდენციალური იყოს და არ იყოს გამჟღავნებული აკადემიის სხვა პერსონალისთვის. გარდა ამისა, პერსონალთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ აკადემია შეგროვებულ ინფორმაციას მიიჩნევს პერსონალის პროფესიული სრულყოფისა და მხარდაჭერის სერვისის საფუძვლად.

შეფასებების დასრულების შემდეგ, QMS ადგენს ანგარიშს და აყალიბებს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელებისთვის გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, აკადემია აქტიურად უწყობს ხელს პერსონალის კვლევით საქმიანობას, მათ შორის სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას და პროფესორებისა და მასწავლებლების ნაშრომების, როგორიცაა მონოგრაფიების, სტატიებისა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნებასა და ბეჭდვას. სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობისთვის ხელმისაწვდომია ფინანსური მხარდაჭერა. ზემოთქმული დაადასტურა აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა.

აცნობიერებს რა აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მუდმივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობას, თბილისის თავისუფალი აკადემია აწყობს სხვადასხვა სასწავლო კურსს. შეფასების ჯგუფმა შეამოწმა უსდ-ის მიერ ბოლო დროს ჩატარებული ღონისძიებების/ტრენინგების სია. მიუხედავად იმისა, რომ სია შთამბეჭდავად გამოიყურება, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, ზოგიერთი ტრენინგი არ არის დაკავშირებული პროფესიული განვითარების საკითხებთან, მაგალითად:

- 03.11.2023 - „ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია“.
- 27.11.2023 - "ყავა პროფესორთან."
- 14.10.2022 - შეხვედრა ფსიქოლოგთან.
- 07.06.2022 - ტრენინგი „სამუშაოს ძიების მექანიზმები“.
- 02.10.2020 - შეხვედრა თეატრის სექტორის წარმომადგენელთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან
- სამეცნიერო საქმიანობის შეფასების წესი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების/ვორქშოფების რაოდენობის გაზრდა.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება:	☐	☒	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია საბაზისო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური

აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

შეფასების ჯგუფმა დაადგინა, რომ თბილისის თავისუფალმა აკადემიამ არსებითად გააუმჯობესა ინფრასტრუქტურა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ეფექტური მხარდასაჭერის მიზნით. 2020 წლის დასაწყისში, კამპუსის მასშტაბით განხორციელდა სრული რემონტი. ეს განახლებები მოიცავდა დავით სარაჯიშვილის სახელობის საკონფერენციო დარბაზისა და კომპიუტერული კლასის განახლებას, რომელიც აღჭურვილი იქნა საჭირო ტექნოლოგიური აღჭურვილობით. ასევე მოეწყო სტუდენტებისთვის ახალი ადგილები, მათ შორის თანამედროვე დიზაინის ლაუნჯი, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია და გაფართოვდა დამატებითი სივრცეებით, სტუდენტებისთვის თავისუფლად გამოსაყენებლად. კამპუსის ინფრასტრუქტურის შემდგომი მხარდასაჭერის მიზნით დაემატა ისეთი საშუალებები, როგორიცაა ექიმის კაბინეტი და არქივი.

ასევე განახლდა ციფრული რესურსები. აკადემიამ განაახლა ჰოსტინგისა და დომენის მისამართები, განაახლა ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური მედიის გვერდები და გააფართოვა ელექტრონული მართვის სისტემა. შეიქმნა სტუდენტების ახალი მონაცემთა ბაზა ადმინისტრაციული პროცესების გამარტივებისთვის.

შეფასების ჯგუფმა შეისწავლა ბიბლიოთეკებში სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. ჯგუფის წევრმა შემთხვევითობის პრონციპით სთხოვა ბიბლიოთეკარს წარმოედგინა სახელმძღვანელოების ბეჭდური და ონლაინ ვერსიები. ექსპერტთა ჯგუფი ასევე გაეცნო სწავლის მართვის სისტემას სტუდენტებისა და ლექტორების მხრიდან. ასევე მოძიებული იქნა სამეცნიერო მონაცემთა ბაზის სტატისტიკის გამოყენება.

აკადემიამ უზრუნველყო ყველა საჭირო და მოთხოვნილი სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა ბიბლიოთეკის რესურსებში. ბიბლიოთეკა გთავაზობთ სხვადასხვა ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსს, რომელიც შესულია კურსის სილაბუსებში. იგი მოიცავს საგანმანათლებლო, მეთოდოლოგიურ და სამეცნიერო ლიტერატურას და წვდომას საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე, უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს საჭირო ინსტრუმენტებით მათი აკადემიური და კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად. გარდა ამისა, შეფასების ჯგუფმა მოიკითხა საავტორო უფლებების დამადასტურებელი საბუთი და აკადემიამ წარმოადგინა ელექტრონული მიმწოდებლის თანხმობა ელექტრონული ფოსტით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიბლიოთეკის რესურსები
- ტექნიკური აღჭურვილობა სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით.
- ობიექტების მონახულება ადგილზე.
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე
- წვდომა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე.

- აკადემიის ვებგვერდი - www.freeacademy.edu.ge.

რეკომენდაციები:

o (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

o (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4. მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტის (დოკუმენტის) შესწავლამ და ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამის შეუფერხებლად შესრულების უზრუნველსაყოფად შემდეგი ფინანსური საშუალებებია გათვალისწინებული: ეს დაფინანსება გადამწყვეტია როგორც მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მოტივაციის გასაძლიერებლად მათ კვლევით საქმიანობაში. გამოყოფილი ბიუჯეტი კონკრეტულად ეხება სხვადასხვა კრიტიკულ სფეროებს:

- ხელფასები აკადემიური და მოწვეული ლექტორებისთვის.
- სტიმული შესანიშნავი მიღწევებისთვის.
- დროებითი დავალებები პროგრამასთან დაკავშირებული პერსონალისთვის სხვადასხვა ობიექტებზე.
- პროგრამული და ადმინისტრაციული გუნდების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.
- ბიბლიოთეკის რესურსების განახლება და შენარჩუნება.
- მარკეტინგული ინვესტიციები პროგრამის ცნობადობის გაზრდის მიზნით.

- სტუდენტებზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- საგანმანათლებლო საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის დაფინანსება.

არსებული ბიუჯეტის სტრატეგიული განაწილება ეკონომიკურად მომგებიანია, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უშუალო და სამომავლო საჭიროებების დაკმაყოფილებას, რაც ხელს უწყობს მის ზრდას და განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი
- გასაუბრება ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელთან;
- ობიექტის დათვალიერება

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)
რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება

ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

თბილისის თავისუფალ აკადემიაში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს ზედამხედველობას უწევს ხარისხის მართვის სამსახური დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციების, კერძოდ, „ხარისხის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტის შესაბამისად. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის უპირველესი მიზნებია საგანმანათლებლო საქმიანობის უწყვეტი გაძლიერება და ხარისხის კულტურის ხელშეწყობა. ამ მიზნების მისაღწევად აკადემიამ ჩამოაყალიბა სხვადასხვა რეგულაცია და ჩარჩოები საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დახვეწასთან დაკავშირებით, პროგრამის განხილვისა და სწავლის შედეგების შეფასების პროცედურებთან ერთად.

ხარისხის უზრუნველყოფა მოქმედებს „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“ ციკლის შესაბამისად და გამოიყენება შემდეგნაირად:

- პროგრამის შემუშავება და დამტკიცება.
- განხორციელება კურიკულუმის მიხედვით.
- მონიტორინგი, შეფასება და ანალიზი (მათ შორის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი და ა.შ.).
- შედეგების გათვალისწინება და პროგრამის ცვლილება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც და სკოლებიც აქტიურად ერთვებიან საგანმანათლებლო პროცესის მუდმივ მონიტორინგში, უპირველეს ყოვლისა, შესაბამისი ჯგუფების გამოკითხვებით. ეს გამოკითხვები მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამებით კმაყოფილება, სწავლის შედეგები, შეფასების პროცესები, ინფრასტრუქტურა, განვითარების საჭიროებები და აკადემიური პერსონალის შეფასება. შესაბამისად, შეგროვებული მონაცემები ზედმიწევნით ანალიზდება, იდენტიფიცირებულია ძლიერი და სუსტი მხარეები, ხდება საკითხების აღიარება და შესაბამისი გადაწყვეტილებების მოძიება.

თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუები მიუთითებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტიურ ჩართულობაზე პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს თავიანთ პროგრამებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას. ინტერვიუების დროს პროგრამის აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა განიხილა და დაადასტურა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოთავაზებულ ცვლილებები, რომლებიც შემდეგ აისახა მათ სილაბუსებში. კერძოდ, აკადემიური პერსონალი თანამშრომლობდა ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე, განიხილავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სილაბუსების სტრუქტურა, ლიტერატურასთან შესაბამისობა, მეთოდები, ლიტერატურა და გაზომვადობა.

გარდა ამისა, დამსაქმებლის ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში დადასტურდა ინტერვიუების დროს, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობების მხარდაჭერა. პროგრამის შემუშავებამდე მათ მიიღეს კითხვარი ბაზრის საჭიროების დასადგენად. ისინი ასახელებენ რეკომენდაციას – მაგ., ციფრული მარკეტინგის მოდულის დამატება პროგრამის სტრუქტურაში; ამ რეკომენდაციას დაწესებულება ასრულებს.

შეიმჩნევა მჭიდრო ურთიერთობა სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის (განსაკუთრებით უნივერსიტეტის სიმცირის გათვალისიწინებით). გასაუბრებისას დადასტურდა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტიური მონაწილეობა პროგრამის შემუშავებასა და თვითშეფასების პროცესში.

გარდა ამისა, აშკარაა ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობა ამ პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები
- გამოკითხვის შედეგები
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის თავისუფალი აკადემია აქტიურად იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისთვის. დაწესებულება მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. განახლებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, აკადემიამ სხვადასხვა კორექტირება მოახდინა თავისი პროგრამების შინაარსში, რათა შეესაბამებოდეს სფეროს სპეციფიკურ მახასიათებლებს. თუმცა, არსებობს დამატებითი მოთხოვნები და მოქმედებები, რომლებიც საჭიროა ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და მათი შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომელიც გაწერილია მოდულებში (გთხოვთ, იხილეთ ქვესტანდარტი 1.2. შემდგომი განხილვისთვის).

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესში ჩატარებული გარე შეფასებების გარდა, უნივერსიტეტი თანამშრომლობს ადგილობრივ და საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან და ექსპერტებთან თავისი პროგრამების შესაფასებლად.

გარდა ამისა, აკადემია ითვალისიწნებს დარგის ექსპერტების გამოხმაურებას პროგრამის განვითარების პროცესში. ექსპერტთა მიმოხილვები საფუძვლიანია და რამდენიმე რეკომენდაცია ინტეგრირებულია პროგრამის ბოლო განახლებებში. აკადემიამ წარმოადგინა პროგრამის სპეციფიკის საერთაშორისო და რეგიონული ანალიზის საორიენტაციო დოკუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.2. გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების შესახებ ინფორმაცია და რეგულაციები ასახულია ხარისხის მართვის დებულებაში. კერძოდ, ეს დოკუმენტები განსაზღვრავს პროცედურებს პროგრამების დაწყების, დამტკიცების, მოდიფიკაციისა და პერიოდული შეფასების შესახებ.

შესაბამისად, პროგრამის შედეგები პერიოდულად ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით.

შეფასების პირდაპირი მეთოდები გულისხმობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასებას. არაპირდაპირი მეთოდები გულისხმობს პროგრამაში ჩართული ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესების შეგროვებას, მათ შორის სტუდენტების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლებისა და პროგრამის კურსდამთავრებულებისგან.

პროგრამა იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად, მათ შორის:

კითხვარები:

- სტუდენტების მიერ სასწავლო კურსებისა და პროცესების შეფასება ელექტრონული ბაზის საშუალებით.

- o სტუდენტთა კმაყოფილების შეფასება.

სტუდენტები აფასებენ თითოეულ აკადემიურ კურსს კურსის ბოლოს.

რეგულარული შედარება ხდება პროგრამებსა და მსგავს შეთავაზებებს შორის უცხოურ უნივერსიტეტებში, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა.

სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელები წარადგენენ ანგარიშს პროგრამის ან კურსის მიმდინარეობის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამები და სილაბუსები.
- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები
- გამოკითხვის შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: (არ არის მითითებული)

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის (არ არის მითითებული)

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

შესაბამისობა პროგრამასთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არის მითითებული
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს თბილისის თავისუფალი აკადემია
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, დონე: ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☒	☐	☐
2 სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☒	☐	☐	☐
3 სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4 სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	☒	☐	☐
5 სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

<u>სრული სახელი და ხელმოწერები:</u>
<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის</u>
ანუ ანა ჯოსანი

<u>ექსპერტთა ჯგუფის წევრები</u>

თორნიკე ხოშტარია

ელენე ჯღარკავა

თამთა ლეკიშვილი

ვაჟა კელიხაშვილი